ხელშეკრულება N 322

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა შუახევი 20 დეკემბერი 2023 წელი

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი შუახევის მუნიციპალიტეტის **მერის ომარ ტაკიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს "თიხარტი"** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის თამარ ნოდიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 დეკემბრის № 3495 განკარგულების (**SMP230003080**); საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 დეკემბრის № 2168 განკარგულების და აჭარის ა/რ მთავრობის 2023 წლის 19 დეკემბრის N 112 განკარგულების საფუძველზე ვდებთ გამარტივებული შესყიდვის წესით წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: მიმწოდებელმა გაუწიოს შემსყიდველს საახალწლო ღონისძიების მომსახურება შემდეგ თანხაზე **167297.38 (ას სამოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი მთელი და 38/100)** ლარი.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ხელშეკრულება) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თან დართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება"-ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 `შემსყიდველი ორგანიზაცია"- (შემდგომ `შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 `მიმწოდებელი"-ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 `დღე", `კვირა", `თვე"-ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: საახალწლო ღონისძიების მომსახურება ხელშეკულების დანართ(ებ)ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 79952000 - ღონისძიებების ორგანიზება.

2.3 დაფინანსების წყარო: **ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.**

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაბზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.**

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება **2023 წლის 29 დეკემბერს, დაბა შუახევში.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.5 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპუქტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის ანგარიშები გაწეული მომსახზურების შესახებ).

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარისსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა - უნაღდო

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის კადაში.

6.4. **მიმწოდებლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 100%-ის ოდენობით. საავანსო ანგარიშსწორების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი თავისი შეხედულებისამებრ. საავანსოდ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან/და სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული უპირობო გარანტიები. საავანსო გარანტიის (მისი წარმოდგენის შემთხვევაში) მოქმედების ვადა მინიმუმ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას. უპირობო, გამოუთხოვადი წანასწარი ანგარიშწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში- ლარში.**

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებულ გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაშვებულია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა თუ ამ ცვლილების შედეგად იზდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზდა.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არდაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება
ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. გარანტია

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოთ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

10.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები. ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

11.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენება საჯარო სანქციები.

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

11.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების

შემთხვევაში, ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებზე უარის თქმის და ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმა **ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.** ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდვლს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არათავასუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

12.4.შემსყიდველი შეუძლია მიიღოს გადაწყეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში:

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება:

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

12.5. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაქეული მომსახურების ღირებულება.

12.6. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარული დღეს.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულებისმგარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის`ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ;ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ, მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინებები

17.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში

მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1. უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე. თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **2024 წლის 31 იანვარის ჩათვლით.**

20. სხვა პირობები

20.1. არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4. პრეტედენტის მიერ წარმოდგენილი დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელს ნაწილს.

20.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

21. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია	შპს "თიხარტი"
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.22.	მის. ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 35, ბ. 106.
სახელმწიფო ხაზინა	სს ,,თი ბი სი ბანკი''
ბ/კოდი: TRESGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
	ა/ნ: GE81TB7069636080100006
ს/კოდი: 247865145	ს/კოდი: 405046007
შუახევის მუნიციპალიტეტის მერი	შპს "თიხარტი"-ს დირექტორი
ომარ ტაკიძე	**თამარ ნოდია**

shuakhevi municipality Digitally signed by shuakhevi municipality Date: 2023.12.20 17:50:48 +04'00'

Tamar Nodia 01024020143 Digitally signed by Tamar Nodia Date: 2023.12.20 18:41:18

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა შუახევი

ვადასტურებ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტში საახალწლო ღონისძიების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი: ომარ ტაკიძე.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: ფრიდონ დავითაძე.

ახალი წლის დღეები - 2024

შუახევი - ახალი წლის დღეები				
N	მომსახურების დასახელება	ერთეულის საშუალო ღირებულება	რაოდენობა	სულ
1	წამყვანის მომსახურება	3828	1	3828
2	ფოტოგრაფის მომსახურება	3828	1	3828
3	პროექტის ხელმძღვანელის მომსახურება	7656	1	7656
4	ღონისძიების მენეჯერის მომსახურება	3828	2	7656
5	ლოჯისტიკის მენეჯერის მომსახურება	2600	1	2600
6	ტექნიკური მენეჯერის მომსახურება	2600	2	5200
7	სცენა/გადახურვით, ეკრანით, გახმოვანებით, განათებით მომსახურება	20000	1	20000
8	თეთრი კარავი/კულისით მომსახურება	4500	1	4500
9	გამათბობლებით მომსახურება	250	14	3500
10	გენერატორი	2380	1	2380
11	საბავშვო გასართობი აქტივობების (სანტა, დამხმარეები, ჯამბაზები, DJ და ანიმატორები, მოხატვა, მასტერკლასები, დრამერების შოუ და სხვა) მომსახურება	23400	1	23400
12	საშობაო ბაზრობის სახლების საახალწლო გაფორმება	300	6	1800
13	საკვები სივრცეების მოწყობა ბრენდირებული ატრიბუტიკითა და შესაბამისი პერსონალის მომსახურება (კრეპები, სენდვიჩები, გლინტვეინი, უალკოჰოლო ცხელი სასმელები, ბრენდირებული ჭიქები, ტკბილეულის ნაკრებით გამასპინძლება და სხვ.)	24750	1	24750
14	სანტას სივრცის მოწყობა	1500	1	1500
15	ფოტოზონის მოწყობის მომსახურება	1500	1	1500
16	სცენის დეკორაციითა და სცენის ბრენდირებული შეფუთვით მომსახურება	1500	1	1500
17	სახლების და სხვა დეკორაციის ტრანსპორტირების მომსახურება	3500	4	14000
18	ჯგუფის ტრანსპორტირება/განთავსების მომსახურება	270	15	4050
19	ფოიერვერკით მომსახურება	4000	1	4000
20	კომპანიის მომსახურება	3%		4129,44
21	დ.ღ.გ			25519,9392
სრული ბიუჯეტი				GEL 167 297,38